

# დევნილთათვის დაწესებული მოთხოვნები და შეღავათები

პროექტის მიზანია კომპაქტურად განსახლებულ დევნილებს გაუადვილოთ პირველადი დოკუმენტების აღდგენა, რომლებიც დაკარგული აქვთ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში განვითარებული ცნობილი მოვლენების შედეგად.

პროექტის დანიშნულებაა გავაგებინოთ დევნილებს რაღარა დოკუმენტების მოძიებაა საჭირო დაკარგული საბუთების აღდგენისათვის და რომელ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს უნდა მიმართონ ასეთ შემთხვევებში, ასევე გარკვეულ იქნენ დევნილები მათთვის მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებში და რა სახის შეღავათები ვრცელდება კომპაქტურად განსახლებულ დევნილთათვის. ასეთ შეღავათს ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანება №18 – 2011 წლის 10 თებერვლის „იძულებით გადაადგილებულ პირთა- დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების განსაზღვრისა და ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“).

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს დევნილებს გავაცნოთ სპეციფიკური კანონი –

## 1 „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ კანონი“.

აღნიშნული კანონიდან გამომდინარე დევნილებს განვუმარტავთ შემდეგ საკითხებს:

1. ვინ შეიძლება ჩაითვალოს დევნილად? (კანონის პირველი მუხლის განმარტება – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კომფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო).
2. ვინ გასცემს დევნილის მოწმობას? (სამინისტრო)
3. ვინ ჩაითვლება დევნილის სტატუსის მაძიებლად? (პირი, რომელიც სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მიმართავს სამინისტროს).
4. რომელია დევნილის მუდმივი და რომელი დროებითი საცხოვრებელი ადგილი? (მუდმივი – აფხაზეთი; დროებითი განსახლების ადგილი).
5. ვის გაეცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება? (უმწეო მდგომარეობაში მყოფ დევნილებს).
6. რომელმა ორგანომ უნდა დაუდგინოს სტატუსი აფხაზეთიდან გადაადგილებულ პირს? (სამინისტრომ)
7. რა ვადაში იღებს სამინისტრო გადაწყვეტილებას დევნილად რეგისტრაციის შესახებ? (სტატუსის მაძიებელი ათი დღის ვადაში).
8. რა ვადაში ხდება პირის დევნილად ცნობა და რა ვადაში ეძლევა დევნილის მოწმობა? (ერთი თვის ვადაში)
9. უნარჩუნდება თუ არა დევნილს არადევნილთან დაოჯახების შემთხვევაში სტატუსი? (უნარჩუნდება)
10. რა ვადაში ხდება გასაჩივრება დევნილად არცნობის შემთხვევაში? (უარის თქმიდან ერთი თვის ვადაში).
11. რა უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ დევნილის სტატუსის მაძიებლებს? (იღებს ყოველთვიურ შემწეობას და კანონით განსაზღვრულ სხვა დახმარებებს).
12. ვინ უზრუნველყოფს დევნილს საცხოვრებელი ადგილით? (სამინისტრო).
13. ვის ხარჯზე ხდება უმწეო მდგომარეობაში მყოფი დევნილების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება? (სახელმწიფო).
14. ვინ ანაზღაურებს ხარჯებს დევნილის გარდაცვალების შემთხვევაში? (განსახლების ადგილის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობა).

15. რა შემთხვევაში შეუწყდება დევნილს სტატუსი? (სასამართლოს მეშვეობით).
16. რა შემთხვევაში ჩამოერთმევა სტატუსი დევნილს? (ყალბი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში).
17. როდის ხდება დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე რეაბილიტაციის სახელმწიფო გარანტი? (როცა დაუბრუნდება პირვანდელ საცხოვრებელ ადგილს)
18. უნარჩუნდება თუ არა დევნილს შრომის სტაჟი? (უნარჩუნდება დევნილობის პერიოდში).
19. საიდანღებულს დევნილი დახმარებას (სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სარეზერვო ფონდებიდან, ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობებიდან, უცხოეთის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან).

აღნიშნული კანონიდან გამომდინარე მიღებულ იქნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №124 „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ცნობის, დევნილთა სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ფორმის, მოწმობის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე.“

ბრძანებით განსაზღვრულია თუ რა საბუთებია საჭირო დევნილად ცნობისათვის. განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი და ასევე უნდა შეესაბამებოდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

დევნილთა რეგისტრაციის წესი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება სამინისტროსადმი მიმართვის.

1. რა შემთხვევაში მიმართავს სამინისტროს პირის დევნილად ცნობის შესახებ კანონიერი წარმომადგენელი? (ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის შემთხვევაში).
2. ობიექტური მიზეზების გამო (ხანდაზმულობა, მძიმე ავადმყოფობა, სასჯელადსრულების დაწესებულებაში ყოფნა და სხვა.) დევნილის სამინისტროში ან ტერიტორიულ ორგანოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ვინ არის ვალდებული განახორციელოს გასაუბრება, ფოტოგრაფილება და ანკეტის შევსება დევნილის მოთხოვნით? (სამინისტროს უფლებამოსილი პირი).
3. რა შემთხვევაში აქვს სტატუსის მაძიებელს დევნილად ცნობისათვის ხელახლა მიმართვის უფლება? (როცა აღმოფხვრება გარემოებანი რომელიც აბრკოლებდა მის დევნილად ცნობას).
4. რა შემთხვევაში ხდება დევნილის მოწმობის გამოცვლა? (ახალი ნიშნის დამტკიცებისა და გამოცემის შემთხვევაში, დევნილს 6 დან 16 წლის ასაკის მიღწევისას).
5. რა დოკუმენტებია საჭირო დევნილის მოწმობის გამოცვლა, გაცემისთვის, რომელზეც სამინისტროს არ გააჩნია პერსონალური მონაცემები და დოკუმენტები? (ფოტოსურათი, პირადობის მოწმობის ქსეროასლი, არასრულწლოვანზე დაბადების მოწმობა, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირებს- ბინადრობის მოწმობა, დევნილის ანკეტა).
6. დაუშვებელია კომპაქტურად განსახლებული დევნილის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა კომპაქტურიდან, კომპაქტურში გარდა დევნილთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა.
  - ა) ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;
  - გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;
  - ბ) არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან.
  - გ) დევნილის დაქორწინების ან განქორწინების შემთხვევაში.
  - დ) ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელთან.
  - ე) იმ შემთხვევისა როცა მეუღლეები ცხოვრობენ სხვადასხვა კომპაქტურად განსახლებულ ობიექტებში.

7. რა დროს გაივლის დევნილი ხელახალ რეგისტრაციას თუ დადგენილ ვადაში ვერ მოახერხა რეგისტრაცია? (ყოველი თვის ათ რიცხვამდე).

არსებობს დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების წესი, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წლის 14 ივლისის №404 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

ამ წესის თანახმად აპოსტილით დამოწმებისას დასტურდება საქართველოს ტერიტორიაზე შედგენილ დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობა, ხელმოწერი პირის უფლებამოსილება, ბეჭდის ან შტამპის ავთენტიკურობა.

აპოსტილით დამოწმებას არ ექვემდებარება ამ წესის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი:

კ) აფხაზეთის ა/რ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დეფაქტო ხელისუფლების ორგანოების და თანამდებობის პირების მიერ გაცემული დოკუმენტები.

ვინ ახორციელებს აპოსტილით დამოწმებას და რა ვადაში?

შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები – 10 დღის ვადაში. მაგალითად იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტებზე – სამოქალაქო რეესტრი.

ასევე დოკუმენტების დამოწმება ხდება პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის „დოკუმენტის ლეგალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებულების შესაბამისად.

მოქმედი კანონმდებლობით ლეგალიზაციის განხორციელებით დასტურდება საქართველოს ტერიტორიაზე შედგენილ დოკუმენტსა და სალეგალიზაციო შტამპებზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობა, ხელმოწერი პირის უფლებამოსილება და ბეჭდის ან შტამპის ავთენტიკურობა წესის შესაბამისად ლეგალიზაციას არ ექვემდებარება შემდეგი დოკუმენტები:

დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები, კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული დოკუმენტები, პირადობის მოწმობა, სამხედრო ბილეთი, მართვის მოწმობა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ქვითრები, სანოტარო აქტები, საქართველოს ნორმატიული სამართლებრივი აქტები და მათ შორის აფხაზეთის ა/რ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დეფაქტო ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ გაცემული დოკუმენტები.

დოკუმენტების ლეგალიზაცია ხორციელდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ახორციელებს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო, მეორე ეტაპზე ლეგალიზაციას ახდენს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ლეგალიზაციას ახორციელებენ დოკუმენტის მიმღები სახელმწიფო ორგანოები. (მაგ. იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ დოკუმენტზე – იუსტიციის სამინისტრო, ხოლო შემდგომ ეტაპზე საგარეო საქმეთა სამინისტრო).

ლეგალიზაცია ხორციელდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ამ წესის შესაბამისად. დოკუმენტის ლეგალიზაციის შესახებ ელექტრონული ფორმით წარდგენილი განცხადების მიღება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა განმცხადებლისა და განცხადების მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას და განმცხადებლის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

ლეგალიზაციისათვის დადგენილია პირველ ეტაპზე ათ დღიანი ვადა, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროში წარდგენის დღესევე.

დოკუმენტების აპოსტილისა და ლეგალიზაციასთან დაკავშირებით საფასურის გადახდა განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით კერძოდ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებით დევნილს აქვს უფლებამოსილება განმეორებითი დოკუმენტების აღდგენისას მიმართონ ნებისმიერ სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ ორგანოებს გარდა იურიდიული ფაქტის დადგენისა და პირველადი დაბადების მოწმობის აღების შემთხვევებისა. ახალშობილის პირველადი დაბადების მოწმობის აღება შესაძლებელია დღეს მოქმედი კანონმდებლობით ბავშვის დაბადების ადგილისა და მშობლების განსახლების ადგილის მიხედვით, ხოლო იურიდიული ფაქტის დადგენა დევნილის განსახლების ადგილის მიხედვით.

ზემოაღნიშნული კანონმდებლობის გაცნობა აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტმა ჩათვალა მიზანშეწონილად, რათა კომპაქტურად განსახლებულ დევნილებს მიეცეთ საშუალება გაერკვნენ სამართლებრივ სიახლეებში და გაუადვილდეთ მათთვის საჭირო დოკუმენტების მოძიება და აღდგენა.